6.1	<p align="center">სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)</p> <p>პროგრამის მიზანი: ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება - პოპულარიზაცია</p> <p>პროგრამის აღწერა: ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. სასპორტო სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. სკოლაში არსებული სპორტის სახეობაში მომეცადინე სპორტსმენთაგან ეროვნული ნაკრები გუნდების რეზერვის მომზადება, სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლიური საწვთნელი პროცესის ორგანიზება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა:</p> <p>ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა;</p> <p>სპორტული ღონისძიებების დაფინანსება;</p> <p>სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა;</p> <p>სპორტული მოედნების მოწყობა.</p>
6.1.1	<p align="center">ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: სპორტულ-გამაჯანსაღებელ, პროფესიულ სასპორტო და სპორტულ მეთოდური საქმიანობა.</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა: ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. სასპორტო სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. სკოლაში არსებული სპორტის სახეობაში მომეცადინე სპორტსმენთაგან ეროვნული ნაკრები გუნდების რეზერვის მომზადება, სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლიური საწვთნელი პროცესის ორგანიზება.</p>
6.1.2	<p align="center">სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 02)</p>

	<p>ქვეპროგრამის მიზანი: ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდა; საზოგადოების აქტიური ჩართულობა სპორტულ ცხოვრებაში; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზება</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება: 1) მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობის და განვითარების ხელშეწყობა. 2) სპორტული ტურნირებისა და საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ორგანიზება. 3) ქობულეთელი სპორტსმენის/მწვრთნელების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა-წახალისება.</p>
6.1.3	<p align="center">სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 03)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: სპორტულ-გამაჯანსაღებელ, პროფესიულ სასპორტო და სპორტულ მეთოდური საქმიანობა.</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა: რაგბის პოპულარიზაცია, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება მოზარდ-ახალგაზრდებში. რაგბის ფედერაციის ეგიდით ორგანიზებული საერთაშორისო თუ რეგიონალურ ტურნირებში მონაწილეობა, პროფესიონალი მორაგბეების გაწვრთვა და მათი დახელოვნება.</p>
6.1.4	<p align="center">სპორტული მოედნების მოწყობა (პროგრამული კოდი 05 01 04)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: სპორტული ინფრასტრუქტურის განახლება და შექმნა</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაცია. ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული 4 ერთეული (რუსთაველის ქ. №166ა, რუსთაველის ქ.№162დ, რუსთაველის ქ. №140 და ლესელიძის ქუჩაზე) სტადიონის რეაბილიტაციის სამუშაოები; ქალაქ ქობულეთში, სპორტსკოლასთან არსებული ფეხბურთის მოედანის რეაბილიტაცია; ქ. ქობულეთში ცენტრალურ პარკში სტადიონის მოწყობა და ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებული სტადიონის რეაბილიტაცია; ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურში სპორტული მოედნის მოწყობა; ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქაქუთში არსებული მინი სტადიონის დემონტაჟი და ახალის მოწყობა; ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედვაში (ცხრაფონა) მინი სტადიონის მოწყობა; ქ.ქობულეთში „მტს“-ის დასახლებაში მინი სტადიონის მოწყობა; ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხუცუბანში, თეთროსნის დასახლებაში სტადიონის მოწყობა.</p>
6.2	<p align="center">კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)</p> <p>პროგრამის მიზანი: ჩვენი ქვეყნის ტრადიციული დღესასწაულის მხარდაჭერა და პოპულარიზაცია, ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული ღონისძიებებისა და ფესტივალების ორგანიზება, საახალწლო განწყობის შექმნა ქალაქში. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დღეების პოპულარიზაცია და თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთა პატივის მიცემა. საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლება და მათი აკადემიური მოსწრების ზრდა, ასევე შემოქმედებითი უნარების აღმოჩენა და წახალისება. წარმატებული პედაგოგების დაჯილდოება. ახალგაზრდების ინტელექტუალური აზროვნების გამოვლენა, კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობა, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება გენდერული თანასწორობის საკითხებში, შშმ პირების ინტეგრირება საზოგადოებასთან. პროგრამა ასევე უზრუნველყოფს მოსწავლე-ახალგაზრდების მუსიკალურ-ვოკალურ-ქორეოგრაფიული განათლებას, როგორც ფოლკლორის, ასევე კლასიკური და თანამედროვე მიმართულებით.</p> <p>პროგრამის აღწერა:</p>

	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ისეთი კულტურული აქტივობების ორგანიზება, როგორცაა ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი დღეების აღნიშვნა, ქალაქის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება, რომელიც აღინიშნება ქვეპროგრამის ფარგლებში, შეიცავს სხვადასხვა მასშტაბისა და ტიპის კულტურული ღონისძიების ორგანიზებას. საიუბილეო საღამოებისა და გამოფენების მოწყობა, ქობულეთის პარკების, სკვერებისა და მათ ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და დალაგება-დასუფთავება. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობების შესწავლასა და მათ პოპულარიზაციას.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა:</p> <p>ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება "ქობულეთის სახელოვნებო სკოლა";</p> <p>ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი;</p> <p>ა(ა)იპ ქობულეთის პარკი;</p> <p>გურამ თამაზაშვილის სახელობის (ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მხედრული";</p> <p>კულტურული ღონისძიებების დაფინანსება;</p> <p>ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;</p> <p>ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმი;</p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა, ასევე სოციალურად დაუცველი, ობოლი და მრავალშვილიანი სტუდენტების ხელშეწყობის პროგრამა და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული 100% გრანტის მქონე სტუდენტებისათვის ერთჯერადი ფინანსური წახალისება</p>
<p>6.2.1</p>	<p>ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება "ქობულეთის სახელოვნებო სკოლა" (პროგრამული კოდი 05 02 01)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: მუსიკალური და სამხატვრო განათლების მიცემა მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის.</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა: კლასიკური და საესტრადო მუსიკის სწავლება; კლასიკური და თანამედროვე საესტრადო მუსიკის კომპოზიტორთა და მხატვართა შემოქმედების გაცნობა; სხვადასხვა ხალხურ და საესტრადო ინსტრუმენტებზე დაკვრის ხელოვნების დაუფლება; ახალგაზრდა თაობის ჩამოყალიბება განათლებულ მსმენელად; სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა კლასიკური და ხალხური მუსიკის ფესტივალებსა და კონკურსებში. სარაიონო ღონისძიებებში.</p>
<p>6.2.2</p>	<p>ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 02)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, კულტურული ღონისძიებების უზრუნველყოფა, ანსამბლებისა და კლუბების ფუნქციონირება</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა:</p>

	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ქობულეთის კულტურის ცენტრი განახორციელებს სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზებას, მათ შორის ქვეყნის ღირსშესანიშნავი დღეების აღნიშვნას, ქალაქის მოსახლეობისა და სტუმრებისთვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზებას, კულტურის ცენტრის ინფრასტრუქტურის მოვლა პატრონობას, სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზებას, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების ორგანიზებას - ლიტერატურული სადამოები, ცნობილი მწერლების დაბადების დღისადმი მიძღვნილი საიუბილეო სადამოები, ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი სადამოები, ბიბლიოთეკის კვირეული, საიუბილეო სადამოები, ფოლკლორის სადამოები, საშობაო საახალწლო შეხვედრები, ასევე კულტური ცენტრი განახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდების უზრუნველყოფას, საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვებას, აღრიცხვა დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფას, საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნას და სრულყოფას, საბიბლიოთეკო ფონდების ელექტრონული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, კულტურულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების, გამოფენების მოწყობა, საინფორმაციო ბაზის შექმნა და სრულყოფას, საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმოება საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად</p>
<p>6.2.3</p>	<p style="text-align: center;">ა(ა)იპ ქობულეთის პარკი (პროგრამული კოდი 05 02 03)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: ქობულეთის პარკებისა და სკვერების მოვლა პატრონობა, განაშენიანება</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა:</p> <p>მცენარეების მოვლა პატრონობა: ხე-მცენარეების დეკორატიული სხვადასხვა, გადამხმარი და დაზიანებული ხე მცენარეების ამოძირკვა და გატანა, სასუქის და მიწის შეტანა, ხე-მცენარეების გადაბეღვა, ხე-მცენარეების შეხვევა გახსნა სეზონურად, მწვანე ნარგავების მორწყვა, ტერიტორიის ჰერბიციდებით დამუშავება, ხე-მცენარეების შეღებვა ჩაუმქრალი კირით, ხე-მცენარეების ირგვლივ შემობარვა გათოხნა-გაფხვიერება, სეზონური მოყვავილე ერთწლიანი ყვავილების დარგვა და ამოღება, მცენარეების ირგვლივ გამარგვლა-გამოხილვა, მცენარეების შეწამლვა შხამქიმიკატი</p> <p>მწვანე ზოლის მოვლა-პატრონობა: გაცეღვითი სამუშაოები 66739 კვ.მ. დაფოცხვა გაწმენდა. არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა, შენახვა პატრონობა (მიმდინარე სარემონტო სამუშაოები): განათების სისტემის მიმდინარე შეკეთება, დაზიანებული ნათურების შეცვლა, სავალი ბილიკების და ბორდიურების შეკეთება გამოცვლა. შადრევნების (სულ 5 ერთეული) მოვლა-პატრონობა, ღობეების, სკამების, განათების ბომბების, სანაგვე ურნების, ატრაქციონების, ტრენაჟორების, შენობა-ნაგებობების და ა.შ. მიმდინარე რემონტი, აღდგენა/შეღებვა.</p> <p>ტერიტორიების დალაგება-დასუფთავება: სავალი ტერიტორიის (სულ 17891 კვ.მ.) დახვეტა, დალაგება, ნაგვის ურნების დაცლა. საპირფარეშოების დალაგება (სულ 8 ერთეული)</p>
<p>6.2.4</p>	<p style="text-align: center;">გურამ თამაზაშვილის სახელობის (ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მხედრული" (პროგრამული კოდი 05 02 04)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: ანსამბლში ღონისძიებებისა და კულტურული პროგრამების დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება; ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურულ სფეროში მიმდინარე პროცესებში მონაწილეობა; კონკურსებში და ფესტივალებში მონაწილეობა; ღვაწმოსილ მუშაკთა საიუბილეო და შემოქმედებითი სადამოების ჩატარება, წახალისების სხვადასხვა ფორმებზე წარდგენა შესაბამის ზემდგომ ორგანოებში.</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა: ქართული ხალხური ცეკვებისა და სიმღერების საუკეთესო ნიმუშების დადგმა და რეპერტუარის განახლება.</p>
<p>6.2.5</p>	<p style="text-align: center;">კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 05)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: გენდერის მიმართულებით აქტიური კამპანია და ტრენინგ-სემინარების გამართვა ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებას და ცნობიერების ამაღლებას.</p>

	<p>ქვეპროგრამის აღწერა: საგანმანათლებლო პროგრამები ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას და მათი აკადემიური მოსწრების ზრდას, მედალოსანი მოსწავლეების დაჯილდოება გაზრდის მოტივაციას მომავალ თაობაში მედალოსნის სტატუსის მოპოვებისთვის და ხელს შეუწყობს სამომავლოდ მათი რიცხვის გაზრდას. გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ- ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობებზე და მათი აღმოფხვრის გზებზე ინფორმაციის მიწოდება. ქორწინება ადრეულ ასაკში და მისი შედეგები. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკთხებზე საინფორმაციო ტრენინგ-სემინარები.</p>
6.2.6	<p style="text-align: center;">ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 06)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: ქობულეთის ტურისტული პოტენციალის, წარმოჩენა, რეკლამირება, გავრცელება, ადგილობრივი ტრადიციების გაცნობა ტურისტებისთვის, ადგილობრივი და უცხოელი ტურისტებისთვის ღირშესანიშნავი ადგილების ცნობადობის ამაღლება, ქობულეთის საინვესტიციო გარემოს შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება: 1)ფოტოგრაფების მოწვევა და ქობულეთის ღირშესანიშნავი ადგილების მონახულება. 2)ქობულეთის საინვესტიციო ონლაინ საძებო კატალოგის დამზადება. 3)ტურიზმის სარეკლამო მასალების დამზადება: ტურისტული სეზონისთვის, გამოფენებისთვის და ქალაქის სტუმრების ინფორმირების მიზნით ბროშურების, სარეკლამო და სასაჩუქრე მასალების დამზადება. 4)ინფოტური - ტუროპერატორების, ფოტოგრაფების, ჟურნალისტების მოწვევა,განთავსებით და კვებით უზრუნველყოფა ,ექვსკურსიები ქობულეთის საინტერესო ადგილებში, ქობულეთის ტურისტული პოტენციალის გაცნობა 5)ფესტივალი "მზე სოფელში ანათებს" - ღონისძიების ორგანიზება სოფლად - ღონისძიებისთვის ტერიტორიის მოწყობა, მონაწილეთა და საჭირო ინვენტარის ტრანსპორტირება, სხვადასხვა სახის აქტივობების გამართვა, ქართული სამზარეულოს კუთხის მოწყობა და კულინარიული მასტერკლასის გამართვა, ბენდის მოწვევა , დაბინავება. განათებით, აპარატურით და ხმის რეჟისორით უზრუნველყოფა, წამყვანის მოწვევა 6)ბრენდირება - ტურისტული ვებ გვერდის შექმნა, ვიდეო ფროდაქშენი, ფოტო ბანკის შექმნა, სოციალური მედია მენეჯმენტის მართვა, კონსულტაცია და ტრენინგები, ბეჭდური მედია და სხვა.</p>
6.2.7	<p style="text-align: center;">ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმი (პროგრამული კოდი 05 02 07)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: კულტურულ–შემეცნებითი და საგანმანათლებლო–სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ქობულეთის მუზეუმი განახორციელებს სხვადასხვა კულტურულ–შემეცნებითი და საგანმანათლებლო–სამეცნიერო აქტივობების ორგანიზებას, მათ შორის: ქობულეთის მუნიციპალიტეტის ისტორიული და კულტურული ღირშესანიშნაობების შესწავლისა და კვლევის მიზნით მუნიციპალიტეტის მკვიდრებისა და სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზებას, მუზეუმის ინფრასტრუქტურის მოვლა–პატრონობას, მუზეუმში დაცული სამუზეუმო მნიშვნელობის მქონე ნივთების დაცვას, ინტერპრეტაციას და პოპულარიზაციას.</p>
6.2.8	<p style="text-align: center;">ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა, ასევე სოციალურად დაუცველი,ობოლი და მრავალშვილიანი სტუდენტების ხელშეწყობის პროგრამა და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული 100% გრანტის მქონე სტუდენტებისათვის ერთჯერადი ფინანსური წახალისება (პროგრამული კოდი 05 02 08)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდების (სტუდენტების) ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა ნინო ჯავახიშვილისა და დავით ხახუტაიშვილის სახელობის სტიპენდია, ასევე სტიპენდია</p>

	<p>ემლევით სოციალურად დაუცველ, ობოლ და მრავალშვილიან სტუდენტებს. ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული 100% გრანტის მქონე სტუდენტებისათვის ერთჯერადი ფინანსური წახალისება.</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა:</p> <p>1. განათლებული საზოგადოება წარმატებული და ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საყრდენია. ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაა. იმისათვის, რომ უფრო მეტად ამაღლდეს სტუდენტის სწავლის ხარისხი, მნიშვნელოვანია მათი მოტივირება. სწორედ, ამ მიზნით შეიქმნა ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტებზე მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის დავით ხახუტაიშვილისა და აკადემიკოსს ნინო ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდიის გაცემას. სტიპენდია ემლევით სტუდენტებს კვარტალში ერთხელ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, რომლებსაც მიღებული აქვთ თითოეულ საგანში დადებითი შეფასება (A)-ფრიადი (91 ქულა და მეტი) იმავე საფეხურის წინა სემესტრის საგნების მოსწრების დოკუმენტის თანახმად. პროგრამით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, თანხა სემესტრში შეადგენს 400 ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით. ხოლო სოციალურად დაუცველის, ობოლის და მრავალშვილიანი ოჯახების სტუდენტების სტიპენდია სემესტრში შეადგენს 800 ლარს.</p> <p>2. ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული 100% გრანტის მქონე სტუდენტებისათვის ერთჯერადი ფინანსური წახალისება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოიპოვეს სახელმწიფო გრანტის სრული ოდენობა-100%. ერთ მოსწავლეზე გასაცემი ჯილდო არა უმეტეს 2000 ლარისა, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.</p>
7	<p>პრიორიტეტი: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)</p>
7.1	<p>ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 01)</p> <p>პროგრამის მიზანი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის (უპირატესად მოწყვლადი კატეგორიის) მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობისა გაუმჯობესება; შესაძლებლობის შეზღუდვის რისკის შემცირება</p> <p>პროგრამის აღწერა: მოსახლეობის ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნება ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გაგრძელდება დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის ქვეპროგრამები და ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება: თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის; ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებების კომპენსაციით უზრუნველყოფა; სხვადასხვასოციალურიკატეგორიისმოსახლეობისსამედიცინოდახმარება; ა(ა)იპ "ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი; COVID-19 ით ინფიცირებულთა ოჯახების დახმარება; მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა.</p>
7.1.1	<p>თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის (პროგრამული კოდი 06 01 02)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: მძიმე ფსიქიატრიული აშლილობის მქონე პირთა ჩართვა ფსიქიატრიულ სერვისებში, პაციენტთა ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა:</p>

	<p>მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროით თავსდებიან სტაციონარში, სტაციონარიდან გაწერის შემდეგ არ აკითხავენ ამბულატორიულ დაწესებულებას, წყვეტენ მკურნალობას, ვერ ხორციელდება მედიკამენტების უწყვეტად მიწოდება, რაც ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკის გაუარესებას იწვევს. ირღვევა საფეხურებრივი და უწყვეტი სამედიცინო მომსახურების პრინციპი, რის გამოც შეფერხებულია ხანგრძლივი რემისიისა და სტაბილიზაციის შენარჩუნების შესაძლებლობა, რაც ხშირად ხდება პაციენტის მხრიდან ძალადობრივი ქცევის მიზეზად, როგორც საკუთარი თავის, ასევე ირგვლივ მყოფთა მიმართ.</p> <p>წარმოდგენილი მიზნობრივი ქვეპროგრამა განაპირობებს მძიმე ფსიკური აშლილობის მქონე პირთა ჩართულობას ფსიქიატრიულ სერვისებში, ასევე ხელს შეუწყობს პაციენტთა ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთი მობილური გუნდის დაფინანსებას თვის განმავლობაში 50 პაციენტის ადგილზე მომსახურებით. გუნდის მუშაობა ითვალისწინებს ბინაზე ვიზიტსა და მედიკამენტოზურ მკურნალობას საქართველოში რეგისტრირებული, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული და ნეიროლეფსიური საშუალებებით, რომელსაც გამოიყენებს მობილური გუნდის ფსიქიატრი, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შესაბამისად.</p>
<p>7.1.2</p>	<p align="center">ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებების კომპენსაციით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 03)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთათვის მატერიალური დახმარების გაწევა</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა: ფენილკეტონურია წარმოადგენს თანდაყოლილ იშვიათ გენეტიკურ დაავადებას, რომელიც დაკავშირებულია ამინომჟავების ცვლის დარღვევებთან და იწვევს ც.ნ.ს.-ისა და სხვა შინაგანი ორგანოების ღრმა დაზიანებას. ამ დაავადების მქონე პირები მთელი ცხოვრების მანძილზე საჭიროებენ დიეტოთერაპიას; კვებას კაზეინის ჰიდროლიზატის შემცველი ნარევებითა და მკურნალობას სხვადასხვა მედიკამენტებით, 18 წლამდე ასაკის ბავშვები ფედერალური პროგრამის ფარგლებში ყოველთვიურად მარაგდებიან მათთვის საჭირო დიეტური სამკურნალო ნარევებით, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს. ხოლო 18 წლის ზემოთ ასაკის პირები, არ სარგებლობენ შეღავათებით. აღნიშნულის გათვალისწინებით წინამდებარე პროგრამის ფარგლებში ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა 18 წლის ზემოთ ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებული 2 ბენეფიციარს 2000 ლარის ოდენობით, ხოლო 18 წლამდე ასაკის 3 ბენეფიციარს 1000 ლარის ოდენობით</p>
<p>7.1.3</p>	<p align="center">სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 04)</p> <p>პროგრამის მიზანი: მოწყვლადი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო პროგრამებით.</p> <p>პროგრამის აღწერა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ნაწილს, ოჯახის მცირე შემოსავლების გამო, არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები, დაფაროს იმ სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ იფარება სახელმწიფოს მიერ და მას ამის საჭიროება დაუდგა.</p>

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სამედიცინო მომსახურება, რომელიც ნაწილობრივ ან არ ფინანსდება მოქმედი სახელმწიფო ან/და აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამებით. დასაფინანსებელი თანხა განისაზღვრება წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის საფუძველზე. ქვეპროგრამით გათვალისწინებული პროპორციების დაცვით.

ქვეპროგრამაში გათვალისწინებულია იმ ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, რომლებმაც მუნიციპალიტეტის მერიას მომართა 2020 წლის დეკემბერში და მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება ვერ განხორციელდა ქვეპროგრამის ბიუჯეტის ამოწურვის გამო და ასევე, იმ ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, რომლებსაც 2020 წლის დეკემბერში წარმოემვათ ვალდებულება სამედიცინო დაწესებულების მიმართ.

ა(ა)იპ "ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი (პროგრამული კოდი 06 01 05)

ქვეპროგრამის მიზანი:

სოფლის მოსახლეობის ადგილზე სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა, ზოგიერთი სოციალური კატეგორიის ბენეფიციარების, მათ შორის მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრების ხარისხის ამაღლება და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის აღწერა:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლის დასახლებულ ადგილებში, განსაკუთრებით მთიან სოფლებში, გეოგრაფიული მდებარეობის და კლიმატური პირობების გამო მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდება გართულებულია. აღნიშნულის გათვალისწინებით, სოფლის მოსახლეობის ადგილზე სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით საჭირო გახდა:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 12 პირველადი ჯანდაცვის ცენტრის ხელშეწყობა-კომუნალური და გათბობის ხარჯების გადახდა;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში მომუშავე 33 ექიმისათვის „ექიმის ჩანთის“ მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით შევსება თანახმად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 28 მარტის #01-63/ო ბრძანებისა.

პირველადი ჯანდაცვის ექიმებს ბინაზე გამომახების შესრულება დიდი დაბრკოლებებით, ხშირად ფეხით უწევდათ. მაღალი იყო ჯანმრთელობის გაუარესების რისკები. აღნიშნულის გათვალისწინებით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ამბულატორიის მედპერსონალის უზრუნველყოფა სატრანსპორტო საშუალებით- მაღალი გამავლობის ავტომანქანით;

მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზება და პირველადი დახმარების მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

მოწყვლადი კატეგორიის ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერა, 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა უზრუნველყოფას მოვლის საშუალებებით; კერძოდ, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება გაეწევა პირებს, რომლებიც ჯანმრთელობის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროებენ სხვა პირის მუდმივ დახმარებას და შესაბამისად მოვლის საშუალებებს, რაც დასტურდება ცნობით ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (სამედიცინო დოკუმენტი ფორმა - №IV- 100/ა). მგრძნობელობის დაქვეითების მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფას; კერძოდ, ნაწოლებისაგან დამცავი ბალიში, რომელიც „ტეტრაპარეზი“-ს, მგრძნობელობის დაქვეითების მქონე შშმ პირებს დაიცავს ნაწოლების გაჩენისაგან.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება გაეწევა პირებს, რომელთაც აქვთ „კვადრიპლეგია“(ოთხივე კიდურის დაზიანება). სოციალურად დაუცველ ოჯახებში - 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე - შვილის დაბადებისას, ბავშვის უზრუნველყოფას ერთი წლის ასაკამდე მოვლის საშუალებებით ან/და ბავშვთა კვებით. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება ოჯახს უწყდება 1 წლის ასაკის შესრულების მომდევნო თვიდან.

7.1.4

7.1.5	<p style="text-align: center;">COVID-19 ით ინფიცირებულთა დახმარება მედიკამენტების შეძენისათვის (პროგრამული კოდი 06 01 06)</p> <p>პროგრამის მიზანი: COVID-19-ით ინფიცირებულთა ოჯახების ხელშეწყობა</p> <p>პროგრამის აღწერა: 2020 წლის აპრილის თვიდან ქობულეთის მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა COVID-19-ით ინფიცირებისა და covid-19 ის დადასტურებულ ან სავარაუდო შემთხვევაში პაციენტის გარდაცვალების ფაქტები. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთჯერად დახმარებას ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 100 001 -დან 200 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვის, covid-19 ის დადასტურებულ ან სავარაუდო შემთხვევაში პაციენტის გარდაცვალებისას გარდაცვლილთა ოჯახების უმეტეს ნაწილს არ გააჩნია დაკრძალვისათვის საჭირო თანხა. ერთ ოჯახზე გასაცემი თანხა შეადგენს 400 ლარს.</p>
7.1.6	<p style="text-align: center;">მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 07)</p> <p>პროგრამის მიზანი: მოსახლეობის მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება</p> <p>პროგრამის აღწერა: საქართველოს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მთელი რიგი სამედიცინო პროგრამებით. მიუხედავად ამისა Covid-19 პანდემიის დროს ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებისა და მოწყვლადი კატეგორიის მქონე ბენეფიციარებისათვის მედიკამენტების მიწოდება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და მოწყვლადი კატეგორიის მქონე მოსახლეობას მედიკამენტების შეძენა არ შეუძლია. აქედან გამომდინარე ქობულეთის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა მოწყვლადი ოჯახებისათვის - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; ომის ვეტერანები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები; მარტოხელა მშობლები და მათ შვილები; მარტოხელა ასაკით პენსიონერები - რომლებიც უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ მკურნალობის ჩატარებას, მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა.</p> <p>ქვეპროგრამის ბენეფიციარები, რომლებიც საჭიროებენ მედიკამენტოზურ მკურნალობას წელიწადში ერთხელ ოჯახზე მიიღებენ 200 ლარიან დახმარებას მედიკამენტების ვაუჩერის სახით. იმ შემთხვევაში თუ ოჯახში არის ორი შშმ პირი, ორი ვეტერანი, სოციალურად დაუცველი და შშმ პირი/ვეტერანი, შშმპირი/ ვეტერანი მათ მიეცემათ ორი 200 ლარიანი ვაუჩერი.</p>
7.2	<p style="text-align: center;">სოციალური დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02)</p> <p>პროგრამის მიზანი: გარკვეული კატეგორიის ბენეფიციარების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება</p> <p>პროგრამის აღწერა:</p>

	<p>პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. მოწყვლადი კატეგორიის ბენეფიციარების ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში და ბავშვთა აბილიტაციის/რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების ხელშეწყობა პროგრამა; და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა:</p> <p>5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვთა) ერთჯერადი მატერიალური დახმარება;</p> <p>ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება;</p> <p>დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარება;</p> <p>უმწეო გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარება;</p> <p>მუნიციპალური უფასო სასადილო;</p> <p>დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების ხელშეწყობა;</p> <p>ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/ რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირების ხელშეწყობა;</p> <p>ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირება;</p> <p>მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება;</p> <p>მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარება.</p>
7.2.1	<p align="center">5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვთა) ერთჯერადი მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი:</p> <p>ქვეპროგრამის ძირითადი მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დემოგრაფიული ფონის გაჯანსაღებისათვის მიმართული აქციების განხორციელება, მათთვის მორალური დამატერიალური მხარდაჭერა, სტიმულის მიცემა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 5 და მეტი მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერად მატერიალური დახმარებას 1000 ლარის ოდენობით.</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა:</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადად მატერიალურ დახმარებას, 34 ოჯახზე 1000 ლარის ოდენობით, ასევე ქვეპროგრამაში გათვალისწინებულ იქნება ის ოჯახები, რომელთა შვილებსაც შეუსრულდება 2020 წელს 18 წელი. ქვეპროგრამის მსვლელობის დროს მოსალოდნელია როგორც გამოკლება, ისევე მატება.</p>
7.2.2	<p align="center">ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი:</p> <p>ომის ინვალიდების, ომში დაღუპულთა ოჯახების, ომის მონაწილეების, მათთან გათანაბრებული პირებისა და სამხედრო ძალების ვეტერანების სოციალური დაცვა. მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერა</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა:</p>

	<p>ქვეპროგრამის მიზანია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, სამხედრო ძალების ვეტერანების და მარჩენალდაკარგულთა უკდავყოფის და სადღესასწაულო დღეების უზრუნველყოფა, პროგრამა ითვალისწინებს სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა უკდავყოფას, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებას. ქვეპროგრამას კანონმდებლობით დადგენილი წესით, არეგულირებს 2000 წლის საქართველოს კანონი „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკდავყოფის შესახებ“ და ასევე 1995 წლის საქართველოს კანონი „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ მუხლი 14, პუნქტი „გ“, მუხლი 15, პუნქტი „გ“, მუხლი 16, პუნქტი „გ“, მუხლი 17, პუნქტი „ბ“.</p> <p>საქართველოს კანონის „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკდავყოფის შესახებ“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტისა და „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ 1995 წლის კანონის“ 21 მუხლის თანახმად გარდაცვლილი ომის მონაწილის ოჯახებზე გამოიყოფა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 400 ლარის ოდენობით დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურების მიზნით.</p>
<p>7.2.3</p>	<p style="text-align: center;">დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი:</p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარებას თვითოეულ ბავშვზე 100 ლარის ოდენობით. მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერა.</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა:</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს დედ-მამით ობოლ ბავშვთა (8 ბენეფიციარი) მატერიალურ დახმარებას თვეში 100 ლარის ოდენობით, მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერისათვის, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბავშვებს არ აქვს ელემენტარული სახსრები რაც ესაჭიროება მათ განვითარებას და აღზრდას.</p>
<p>7.2.4</p>	<p style="text-align: center;">უმწეო გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი:</p> <p>მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მატერიალური მხარდაჭერა</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა:</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს ერთჯერად დახმარებას ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ ელემენტარული ხარჯები მიცვალებულთა დასამარხად. ასევე, პროგრამაში გათვალისწინებულია უპატრონო გარდაცვლილი მოქალაქეები, რომლების დასაფლავება ხშირ შემთხვევებში ქმნის სერიოზულ პრობლემას. ანალოგიური პროგრამა მუშაობდა 2007-2020 წლებში. გარდაცვლილთა ოჯახების უმეტეს ნაწილს არ გააჩნია დაკრძალვისათვის საჭირო თანხა. ერთ ოჯახზე გასაცემი თანხა შეადგენს 400 ლარს.</p>
<p>7.2.5</p>	<p style="text-align: center;">მუნიციპალური უფასო სასადილო (პროგრამული კოდი 06 02 07)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი:</p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 300 ბენეფიციარის ცხელი საკვებით უზრუნველყოფა კვირაში 7 დღეს, მათი მორალური მხარდაჭერა</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა:</p> <p>მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენის დახმარება წარმოადგენს ქვეყნის ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტს. ქ. ქობულეთში მუნიციპალური უფასო სასადილო ემსახურება აღნიშნული კონტიგენტის 300 ბენეფიციარს ერთჯერადი ცხელი საკვებით კვირაში 7-ჯერ (წელიწადში 365 დღის) განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებულ მენიუს შესაბამისად.</p>

<p>7.2.6</p>	<p align="center">დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 08)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს დიალიზის ცენტრების ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 70 პაციენტისა და მათი თანმხლები პირების ქ. ბათუმისა და ქობულეთის კლინიკებში დიალიზის სეანსების ჩასატარებლად ტრანსპორტით გადაადგილებისათვის ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას (თანხა გაიცემა საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით, პაციენტები ყოველთვიურად იტარებენ 13 დიალიზის სეანსს). ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კარეგორიის ბენეფიციარებს არ აქვთ ტრანსპორტირების ხარჯები, ძირითადად ცხოვრობენ სოფლად და უწევთ ორი ან სამი სახის ტრანსპორტის შეცვლა, უჭირთ დამოუკიდებლად გადაადგილება, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა.</p>
<p>7.2.7</p>	<p align="center">ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/ რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 09)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაციის პროგრამით მოსარგებლე 150 ბენეფიციარისა და მათი თანმხლები პირის ფსიქოსომატური რეაბილიტაციის კურსების ჩასატარებლად ტრანსპორტით გადაადგილებისათვის მატერიალურ დახმარებას. ქობულეთის ტერიტორიაზე არსებულ რეაბილიტაციის ცენტრებში რეაბილიტაციის კურსების ჩასატარებლად ბენეფიციარებისათვის თანხა გაიცემა საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში თანხა გაიცემა მოჭრით - ერთ ბენეფიციარზე (თანმხლებ პირთან ერთად) 8 ლარი ერთ ვიზიტზე. ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებს არ აქვს ტრანსპორტირების ხარჯები, ძირითადად ცხოვრობენ სოფლად და უწევთ ორი ან სამი სახის ტრანსპორტის შეცვლა , უჭირთ დამოუკიდებლად გადაადგილება, პროგრამით გათვალისწინებული დახმარება მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა.</p>
<p>7.2.8</p>	<p align="center">ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირება (პროგრამული კოდი 06 02 10)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობის, ცხოვრების ხარისხის, ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული მეომრებისა და 0-დან 200 000 ქულამდე ომის ვეტერანებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახების მატერიალური და მორალური მხარდაჭერა.</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა:</p>

სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა შემოსავალი მეტად მწირია, დიდ პრობლემას წარმოადგენს ბუნებრივი აირის შეყვანისათვის თანხის გაღება. ასევე მნიშვნელოვანი მორალური და მატერიალური მხარდაჭერაა 0-დან 200 001 ქულამდე ომის ვეტერანების ოჯახებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული მეომრების ოჯახების გაზიფიცირება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების ბაზაში 0-დან 70 001-მდე სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებული ოჯახების, 0-დან 200 001 ქულამდე ომის ვეტერანებისა და 0-დან 200 001 ქულამდე შშმ პირების ოჯახების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული მეომრების ოჯახების - 80 ბენეფიციარის გაზიფიცირებას - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო ღირებულების დაფინანსებას ერთი წერტილის გათვალისწინებით (გაზქურამდე) არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარით.

ქვეპროგრამაში გათვალისწინებულია 2020 წლის „ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირების“ ქვეპროგრამაში ჩართული ბენეფიციარების გაზიფიცირების სამუშაოების დაფინანსება.

მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 11)

ქვეპროგრამის მიზანი:

სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარება მე-3, მე-4 მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებასთან დაკავშირებით. მათთვის მორალური და მატერიალური მხარდაჭერა. სტიმულის მიცემა.

ქვეპროგრამის აღწერა:

7.2.9 ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დემოგრაფიული ფონის გაჯანსღებისათვის მიმართული აქციების განხორციელებას. კერძოდ, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 200 000 ქულის ჩათვლით დარეგისტრირებული ოჯახებზე მე-3, მე-4, მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებისას მატერიალური დახმარების გაწევას. მე-3 შვილის დაბადებისას 600 ლარი, მე-4 შვილის დაბადებისას 800 ლარი, მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებისას 1000 ლარი. ქვეპროგრამაში გათვალისწინებული იქნება დახმარების გაწევა იმ ოჯახებზე, სადაც 2020 წლის დეკემბრის თვეში დაიბადა მე-3, მე-4 და მომდევნო შვილი და ასევე, იმ ოჯახებზე, რომლებმაც 2020 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეში მომართა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას მე-3, მე-4 და მომდევნო შვილის დაბადების გამო და აკმაყოფილებს ქვეპროგრამით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს.

მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 12)

ქვეპროგრამის მიზანი:

ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 200 001-მდე ქულის მქონე მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარებას თვითოეულ ბავშვზე 100 ლარის ოდენობით. მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის აღწერა:

7.2.10 ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 0-დან 200 001-მდე ქულის მქონე მარტოხელა მშობლების მატერიალურ დახმარებას თითოეულ ბავშვზე (სავარაუდოდ 30 ბენეფიციარი) თვეში 100 ლარის ოდენობით, მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერისათვის, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებს არ აქვს ელემენტარული სახსრები რაც ესაჭიროებათ ბავშვების ზრდისა და განვითარებისთვის.

თავი VI

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 15. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

პროგრამული კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის	
					საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	34,427,299	33,584,580	52,375,620	52,375,620	-
	მომუშავეთა რიცხოვნობა	1,488	206	210	210	-
	ხარჯები	16,787,661	18,988,108	26,672,866	26,672,866	-
	შრომის ანაზღაურება	7,814,476	2,055,695	2,135,875	2,135,875	-
	საკონელი და მომსახურება	4,791,836	1,789,219	2,689,094	2,689,094	-
	პროცენტი	396,024	265,765	178,121	178,121	-
	სუბსიდიები	1,012,698	9,700,323	12,876,137	12,876,137	-
	გრანტები	799,599	3,917	2,229	2,229	-
	სოციალური უზრუნველყოფა	614,474	758,377	1,752,689	1,752,689	-
	სხვა ხარჯები	1,358,554	4,414,812	7,038,721	7,038,721	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	16,132,415	12,611,831	23,497,581	23,497,581	-
	ვალდებულებების კლება	1,507,224	1,984,641	2,205,173	2,205,173	-
01. 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	6,299,175	5,601,554	6,439,542	6,439,542	-
	მომუშავეთა რიცხოვნობა	196	206	210	210	-
	ხარჯები	4,760,627	3,584,693	4,227,769	4,227,769	-
	შრომის ანაზღაურება	2,070,589	2,055,695	2,135,875	2,135,875	-
	საკონელი და მომსახურება	699,931	716,756	1,136,212	1,136,212	-
	პროცენტი	396,024	265,765	178,121	178,121	-
	გრანტები	799,599	3,917	2,229	2,229	-
	სოციალური უზრუნველყოფა	7,037	17,150	23,289	23,289	-
	სხვა ხარჯები	787,447	525,411	752,043	752,043	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	31,325	32,220	6,600	6,600	-
	ვალდებულებების კლება	1,507,224	1,984,641	2,205,173	2,205,173	-
01. 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	3,571,909	3,344,359	3,435,641	3,435,641	-
	მომუშავეთა რიცხოვნობა	196	206	210	210	-
	ხარჯები	3,545,959	3,312,139	3,429,041	3,429,041	-
	შრომის ანაზღაურება	2,070,589	2,055,695	2,135,875	2,135,875	-
	საკონელი და მომსახურება	690,501	709,966	1,136,212	1,136,212	-
	გრანტები	-	3,917	-	-	-
	სოციალური უზრუნველყოფა	7,037	17,150	23,289	23,289	-
	სხვა ხარჯები	777,832	525,411	133,665	133,665	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	25,950	32,220	6,600	6,600	-
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	739,189	707,346	724,980	724,980	-
	მომუშავეთა რიცხოვნობა	29	29	33	33	-
	ხარჯები	730,723	706,227	720,380	720,380	-
	შრომის ანაზღაურება	475,148	472,640	427,275	427,275	-
	საკონელი და მომსახურება	135,205	113,940	162,040	162,040	-

	სხვა ხარჯები	120,370	119,647	131,065	131,065	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	8,466	1,119	4,600	4,600	
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	2,713,331	2,525,843	2,582,856	2,582,856	-
	მომუშავეთა რიცხოვნობა	159	169	169	169	-
	ხარჯები	2,695,847	2,494,742	2,580,856	2,580,856	-
	შრომის ანაზღაურება	1,516,241	1,505,366	1,628,995	1,628,995	-
	საქონელი და მომსახურება	515,107	562,544	925,972	925,972	-
	გრანტები	-	3,917	-	-	-
	სოციალური უზრუნველყოფა	7,037	17,150	23,289	23,289	-
	სხვა ხარჯები	657,462	405,764	2,600	2,600	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	17,484	31,101	2,000	2,000	-
01 01 03	სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური	119,389	111,170	127,805	127,805	-
	მომუშავეთა რიცხოვნობა	8	8	8	8	-
	ხარჯები	119,389	111,170	127,805	127,805	-
	შრომის ანაზღაურება	79,200	77,689	79,605	79,605	-
	საქონელი და მომსახურება	40,189	33,482	48,200	48,200	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა			-	-	-
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	2,727,266	2,257,195	3,003,901	3,003,901	-
	ხარჯები	1,214,668	272,555	798,728	798,728	-
	საქონელი და მომსახურება	9,430	6,790	-	-	-
	პროცენტი	396,024	265,765	178,121	178,121	-
	გრანტები	799,599	-	2,229	2,229	-
	სხვა ხარჯები	9,615	-	618,378	618,378	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5,375	-	-	-	-
	ვალდებულებების კლება	1,507,224	1,984,641	2,205,173	2,205,173	-
01 02 01	სარეზერვო ფონდი	-	-	610,000	610,000	-
	ხარჯები	-	-	610,000	610,000	-
	სხვა ხარჯები			610,000	610,000	-
01 02 02	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	2,704,971	2,250,405	2,385,901	2,385,901	-
	ხარჯები	1,197,748	265,765	180,728	180,728	-
	პროცენტი	396,024	265,765	178,121	178,121	-
	გრანტები	799,599	-	2,229	2,229	-
	სხვა ხარჯები	2,125	-	378	378	-
	ვალდებულებების კლება	1,507,224	1,984,641	2,205,173	2,205,173	-
01 02 02 01	ქობულეთის წყალარინების პროექტი	1,129,155	1,454,045	1,740,002	1,740,002	-
	ხარჯები	235,975	73,882	57,260	57,260	-
	პროცენტი	61,966	73,882	57,260	57,260	-
	გრანტები	174,009	-	-	-	-
	ვალდებულებების კლება	893,181	1,380,164	1,682,742	1,682,742	-
01 02 02 02	დაბა ოჩხაბურის და ცეცხლაური -ჯიხანჯურის წყალსადენის რეაბილიტაცია	96,632	-	-	-	-
	ხარჯები	6,038	-	-	-	-
	პროცენტი	5,999	-	-	-	-
	სხვა ხარჯები	39	-	-	-	-
	ვალდებულებების კლება	90,594	-	-	-	-
01 02 02 03	მეგობრობის ქუჩის სანიაღვრე- კანალიზაციის რეაბილიტაცია და სატუმბო სადგურის მშენებლობა	83,085	62,187	-	-	-
	ხარჯები	11,851	2,996	-	-	-

	პროცენტი	11,818	2,996	-	-	
	სხვა ხარჯები	33		-	-	
	ვალდებულებების კლება	71,234	59,191	-	-	
01 02 02 04	მუნიციპალური ქვეპროექტი-დ. აღმაშენებლის რეაბილიტაცია (ქ. ქობულეთში პიკეტიდან 20+00 გოგებაშვილის ქუჩის გადაკვეთამდე)	522,413	522,204	435,528	435,528	-
	ხარჯები	128,924	78,812	23,303	23,303	-
	პროცენტი	128,715	78,812	23,015	23,015	
	სხვა ხარჯები	209		288	288	
	ვალდებულებების კლება	393,489	443,392	412,225	412,225	
01 02 02 05	"საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის" ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში, მუნიციპალიტეტისათვის 1 ცალი კომპაქტორიანი თვითმგლევი ნაგავზიდი მანქანის გადაცემა.	30,171	49,597	45,677	45,677	-
	ხარჯები	15,118	19,491	15,571	15,571	-
	პროცენტი	15,036	19,491	15,571	15,571	
	სხვა ხარჯები	82		-	-	
	ვალდებულებების კლება	15,053	30,106	30,106	30,106	
01 02 02 06	ქალაქ ქობულეთის სანაპირო ზოლის ნაპირდაცვითი ნაგებობის რეაბილიტაცია	217,925	162,372	162,465	162,465	-
	ხარჯები	174,252	90,584	82,365	82,365	-
	პროცენტი	172,490	90,584	82,275	82,275	
	სხვა ხარჯები	1,762		90	90	
	ვალდებულებების კლება	43,673	71,788	80,100	80,100	
01 02 02 07	ქალაქ ქობულეთის საკანალიზაციო გამწვანდი ნაგებობის ლამის გაუწყლოვნების სისტემის მოწოდება და მონტაჟი	625,590	-	2,229	2,229	-
	ხარჯები	625,590	-	2,229	2,229	-
	გრანტები	625,590		2,229	2,229	
01 02 03	დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნისა და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯი	22,295	6,790	-	-	-
	ხარჯები	16,920	6,790	-	-	-
	საქონელი და მომსახურება	9,430	6,790	-	-	-
	სხვა ხარჯები	7,490		-	-	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5,375		-	-	
01 02 04	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	-	-	8,000	8,000	-
	ხარჯები	-	-	8,000	8,000	-
	სხვა ხარჯები			8,000	8,000	
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	17,863,257	16,612,180	27,453,019	27,453,019	-
	მომუშავეთა რიცხოვნობა	123	-	-	-	-
	ხარჯები	2,689,140	6,387,873	10,524,590	10,524,590	-
	შრომის ანაზღაურება	356,163	-	-	-	-
	საქონელი და მომსახურება	1,194,762	1,017,052	1,447,552	1,447,552	-
	სუბსიდიები	918,182	1,935,445	2,921,160	2,921,160	-
	სხვა ხარჯები	220,033	3,435,375	6,155,878	6,155,878	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	15,174,117	10,224,308	16,928,429	16,928,429	-
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	8,837,242	7,726,862	11,109,174	11,109,174	-
	ხარჯები	1,360,291	2,917,561	6,066,091	6,066,091	-
	საქონელი და მომსახურება	887,458	1,012,107	1,423,949	1,423,949	-

	სუბსიდიები	297,000	339,872	425,500	425,500	-
	სხვა ხარჯები	175,833	1,565,581	4,216,642	4,216,642	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7,476,951	4,809,302	5,043,083	5,043,083	-
02 01 01	ქუჩების, ქუჩებს შორის გადასასვლელების (მათ შორის ტროტუარებისა და ბორდიურების) კეთილმოწყობა	6,944,779	4,316,971	3,930,995	3,930,995	-
	ხარჯები	55,332	130,157	77,874	77,874	-
	საქონელი და მომსახურება	55,332	130,157	77,874	77,874	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,889,447	4,186,814	3,853,121	3,853,121	-
02 01 01 01	ქალაქ ქობულეთში, ყოფილი სასტუმრო „კოლხეთი“-ს მიმდებარედ ზღვაზე გადასასვლელის კეთილმოწყობა	-	-	73,121	73,121	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა			73,121	73,121	
02 01 01 02	დაბა ჩაქვიში „ოაზისის“ მიმდებარედ გზაგამტარის მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა	1,091,419	182,103	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,091,419	182,103	-	-	
02 01 01 03	ქალაქ ქობულეთში „მტს“ უბნის კეთილმოწყობა (მესხიძის ქუჩის შესახვევები; ჩხეიძის ქუჩა; ხაბაზის ქუჩა; ჭონქაძის ქუჩა)	1,037,853	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,037,853		-	-	
02 01 01 04	ქალაქ ქობულეთში, თბილისის, მეგობრობის და კოსტავას ქუჩების რეაბილიტაცია	1,050,378	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,050,378		-	-	
02 01 01 05	ქალაქ ქობულეთში, გელაურის უბნის კეთილმოწყობა: აბაშიძის ქუჩა; ბარათაშვილის ქუჩა; კინტრიშის მე-2 შესახვევი	1,512,538	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,512,538		-	-	
02 01 01 06	ქალაქ ქობულეთში კარიერის უბნის კეთილმოწყობა (I - II უბანი)	766,981	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	766,981		-	-	
02 01 01 07	ქალაქ ქობულეთში თავისუფლების ქუჩაზე (ბაზრის მიმდებარედ) შესასვლელის მოწყობა	88,028	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	88,028		-	-	
02 01 01 08	ქალაქ ქობულეთში, ვერულიძის ქუჩის კეთილმოწყობა	-	-	260,498	260,498	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა			260,498	260,498	
- ზ) აივ-ინფექციის/შიდსის, ქრონიკული ჰეპატიტის სპეციფიკურ ანტივირუსულ მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები;
- თ) თუ სამედიცინო მომსახურების საჭიროება დადგა თვითდაშავების, კრიმინალურ აქტებში მონაწილეობის ან ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებული ნარკოტიკული და ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად, ასევე ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ი) ორგანოთა ტრანსპლანტაციის ხარჯები; (გარდა საქართველოს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში ჩატარებული ღვიძლის, ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედის) და თვალის რქოვქნა გარსის ტრანსპლანტაციის დაფინანსებისა);
- კ) ეგზოპროტეზირების ხარჯები;
- ლ) ბარიატრიული (სიმსუქნის გამო) ოპერაციები კუჭზე (ოპერაციები ჭარბი წონის დროს).
- მ) ნებისმიერი სახის სტომატოლოგიური (თერაპიული, ქირურგიული, ორთოპედიული და სხვა) მკურნალობა, გარდა 18 წლამდე ასაკის შშმ პირებისა, რომლებისთვისაც ძირითადი დაავადებიდან გამომდინარე პირის ღრუს სანაჯიის ჩატარებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ზოგადი ანესთეზია.
- ნ) ინტრაოკულარული ინექციები გარდა შშმ პირებისა და 0-დან 200 001-მდე ქულის მქონე პირებისა, რომელთაც აღნიშნულის მიზნით დაუფინანსდებათ წელიწადში არაუმეტეს 500 ლარის ღირებულების მომსახურება;
- ო) მომსახურება, რომლის ღირებულება არ აღემატება 100 ლარს;
- პ) ექიმის კონსულტაცია.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	ბენეფიციარი	1250	400	480 000
სულ ქვეპროგრამა		630	400	480 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	x	x	x	x

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)

ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.

დამატებითი ინფორმაცია

ქვეპროგრამით განსაზღვრული პროპორციებით ასევე დაფინანსდება 2021 წლის განმავლობაში წარმოშობილი ვალდებულებები, რაც დასტურდება სამედიცინო დაწესებულებასთან გაფორმებული იურიდიული დოკუმენტით.

შენიშვნა: ქვეპროგრამაში გათვალისწინებულია იმ ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, რომლებმაც მუნიციპალიტეტის მერიას მომართა 2020 წლის დეკემბერში და მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება ვერ განხორციელდა ქვეპროგრამის ბიუჯეტის ამოწურვის გამო და ასევე, იმ ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, რომლებსაც 2020 წლის დეკემბერში წარმოეშვათ ვალდებულება სამედიცინო დაწესებულების მიმართ.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოპოვების მეთოდი
ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა	ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	1250	რაოდენობა	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	1250	რაოდენობა	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

06 01 05

ქვეპროგრამის დასახელება:

ა(ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი“

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	510 601
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	510 601

ქვეპროგრამის მიზანი:

სოფლის მოსახლეობის ადგილზე სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა, ზოგიერთი სოციალური კატეგორიის ბენეფიციარების, მათ შორის მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრების ხარისხის ამაღლება და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლის დასახლებულ ადგილებში, განსაკუთრებით მთიან სოფლებში, გეოგრაფიული მდებარეობის და კლიმატური პირობების გამო მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდება გართულებულია. აღნიშნულის გათვალისწინებით, სოფლის მოსახლეობის ადგილზე სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით საჭირო გახდა:

1. პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 12 პირველადი ჯანდაცვის ცენტრის ხელშეწყობა-კომუნალური და გათბობის ხარჯების გადახდა;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში მომუშავე 33 ექიმისათვის „ექიმის ჩანთის « მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით შევსება თანახმად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 28 მარტის #01-63/ო ბრძანებისა.

პირველადი ჯანდაცვის ექიმებს ბინაზე გამოძახების შესრულება დიდი დაბრკოლებებით, ხშირად ფეხით უწევდათ. მაღალი იყო ჯანმრთელობის გაუარესების რისკები. აღნიშნულის გათვალისწინებით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ამბულატორიის მედპერსონალის უზრუნველყოფა სატრანსპორტო საშუალებით- მაღალი გამავლობის ავტომანქანით;

2. ადგილზე ექიმადელი სამედიცინო დახმარების ორგანიზება

მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით ადგილზე ექიმადელი სამედიცინო დახმარების ორგანიზება და პირველადი დახმარების მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

ექიმადელი სამედიცინო დახმარების 29 პუნქტის მედღების ხელფასით უზრუნველყოფა

3. მოწყვლადი კატეგორიის ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერა

0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა უზრუნველყოფას მოვლის საშუალებებით; კერძოდ, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება გაეწევა პირებს, რომლებიც ჯანმრთელობის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროებენ სხვა პირის მუდმივ დახმარებას და შესაბამისად მოვლის საშუალებებს, რაც დასტურდება ცნობით ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (სამედიცინო დოკუმენტი ფორმა - №IV- 100/ა).

მგრძობელობის დაქვეითების მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფას; კერძოდ, კომპანია „ROHO“-ს ფირმის ნაწილებისაგან დამცავი ბალიში, რომელიც „ტეტრაპარზი“-ს, მგრძობელობის დაქვეითების მქონე შშმ პირებს დაიცავს ნაწილების გაჩენისაგან. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება გაეწევა პირებს, რომელთაც აქვთ „კვადრიპლეგია“(ოთხივე კიდურის დამბლა).

სოციალურად დაუცველ ოჯახებში - 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე - შვილის დაბადებისას, ბავშვის უზრუნველყოფას ერთი წლის ასაკამდე მოვლის საშუალებებით ან/და ბავშვთა კვებით. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება ოჯახს უწყდება 1 წლის ასაკის შესრულების მომდევნო თვიდან.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი	სულ (ლარი)
ადმინისტრირება და მართვა			26,870
შრომის ანაზღაურება	4	6,450	25,800
პრემია/ჯილდო			1 075
ოფისის ხარჯები			20 770
საკანცელარიო მასალების შეძენა			700
კომპიუტერული პროგრამის შეძენის და განახლების ხარჯი	13	276	3 588
მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენისა და განახლების ხარჯი			450
საოფისე ავეჯის შეძენის ხარჯი			2 000
რეცხვა ქიმიშენდისა და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი			1 940
ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 12 ჯანდაცვის ცენტრისათვის კომუნალური ხარჯის დაფარვა (ელექტროენერგია ან/და ბუნებრივი აირი)	12	1008	12 092
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება			830
სატენდერო ხარჯი			100
ელექტრონული შტამპის ხარჯი			250
ამბულატორიის დაცვის მომსახურება			480
არაფინანსური აქტივები	21	9.52	1 050

პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა			61 726
პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში დასაქმებული 33 ექიმისათვის ე.წ. "ექიმის ჩანთის" შესავსებად მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების შეძენა,	33	484,85	12 976
მძღოლების ხელფასით უზრუნველყოფა	13	3,600.00	46,800
პრემია/ჯილდო			1950
სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შენახვის ხარჯებით უზრუნველყოფა	13	6448,46	70 150
საწვავის შეძენა			39,000
მიმდინარე რემონტის ხარჯი			31 150
ადგილზე ექიმადელი სამედიცინო დახმარების ორგანიზება			160,750
ექიმადელი სამედიცინო დახმარების 29 პუნქტის მედღების ხელფასით უზრუნველყოფა	46	250.00	138,000
პრემია/ჯილდო			5 750
ექიმადელი სამედიცინო დახმარების პუნქტების მედიკამენტებითა და სადიაგნოსტიკო საშუალებებით უზრუნველყოფა	29	483.00	17,000
მოწყვლადი კატეგორიის ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერა			168 460
0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე ბენეფიციარები	180	600	107 460
მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მგრძობელობის დაქვეითების მქონე შშმ პირები	10	100	1 000
0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახები, რომელთაც შეეძინებათ ახალშობილი	100	600	60,000
სულ ქვეპროგრამა			510 601

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ადმინისტრირება და მართვა	x	x	x	x
ჯანდაცვის ცენტრისათვის კომუნალური ხარჯის დაფარვა	x	x	x	x
პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში დასაქმებული 33 ექიმისათვის ე.წ. "ექიმის ჩანთის" შესავსებად მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების	x	x	x	x

საგნების შექმნა				
სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შენახვის ხარჯებით უზრუნველყოფა	X	X	X	X
ექიმადელი სამედიცინო დახმარების 29 პუნქტის მედდების ხელფასით უზრუნველყოფა	X	X	X	X
ექიმადელი სამედიცინო დახმარების პუნქტების მედიკამენტებითა და სადიაგნოსტიკო საშუალებებით უზრუნველყოფა	X	X	X	X
0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე ბენეფიციარები	X	X	X	X
მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მგრძობელობის დაქვეითების მქონე შშმ პირები	X	X	X	X
0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახები, რომელთაც შეეძინებათ ახალშობილი	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)

ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან მედიკამენტებით, მოვლის საჭიროების მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან მოვლის და დამხმარე საშუალებებით, ხოლო სოციალურად დაუცველი ოჯახები ბავშვის შექმნისას მოვლის საშუალებებით ან/და ბავშვთა კვებით

დამატებითი ინფორმაცია

ა) საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი შესყიდვები:

1. შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
2. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შესყიდვები განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის, 3' პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ბ) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

ელექტროენერჯის და მოხმარებული ბუნებრივი აირის გადასახადის დაფარვა მოხდება ყოველთვიურად, „ენერჯო-პრო ჯორჯიასა“ და „სოკარ ჯორჯია გაზის“ მიერ წარმოდგენილი მრიცხველის მონაცემების მიხედვით, არაუმეტეს პროგრამით გათვალისწინებული ოდენობისა.

გაწეულ მომსახურებაზე დაფინანსება განხორციელდება ა(ა)იპ-სა და მომსახურების მომწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების თანახმად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობით.

გ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პირველადი ჯანდაცვის ცენტრები და ექიმადელი სამედიცინო დახმარების პუნქტები, მათში მომუშავე პერსონალი.

ქვეპროგრამის განხორციელების პროცესში ცალკეულ პუნქტებს შორის თანხების გადანაწილება (დაზუსტება) შეიძლება განხორციელდეს ფაქტიური მოთხოვნილებიდან გამომდინარე.

ქვეპროგრამის ბენეფიციარად განისაზღვრება ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 0-დან 150 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირები; მგრძობელობის დაქვეითების მქონე შშმ პირები; ასევე ოჯახები, რომლებიც ახალშობილის შექმნის მომენტისათვის დარეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულით.

გ) ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით წარმოსადგენი საბუთების ნუსხა.

პირველი ღონისძიების შემთხვევაში:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
 2. ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი საბუთი,
 3. კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი საბუთის (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი,
 4. კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთის ასლი,
 5. ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ,
 6. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა - №IV-100/ა),
- საჭიროების შემთხვევაში სხვა დოკუმენტაცია.

მეორე ღონისძიების შემთხვევაში:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი საბუთი,
3. კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი საბუთის (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი,
4. კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთის ასლი,
5. ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ,
6. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა - №IV-100/ა),

საჭიროების შემთხვევაში სხვა დოკუმენტაცია.

მესამე ღონისძიების შემთხვევაში:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. მშობლის პირადობის მოწმობის ასლი;
3. ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
4. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მშობელი არ არის რეგისტრირებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ცნობა შესაბამისი მუნიციპალიტეტიდან, რომ ანალოგიური პროგრამით არ უსარგებლია;
5. ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ,
6. საჭიროების შემთხვევაში სხვა დოკუმენტაცია.

შენიშვნა:

ქვეპროგრამაში ბენეფიციარების ჩართვის რიგობრიობა განისაზღვრება განცხადების რეგისტრაციის თარიღის შესაბამისად.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სოციალური ვაუჩერის საშუალებით. ვაუჩერის გაცემის, გამოყენების წესს და ქვეპროგრამის ღონისძიებასთან დაკავშირებულ სხვა პროცედურებს საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი.

შემოსული განცხადების განხილვის შემდეგ, ქვეპროგრამის ბენეფიციარის მიერ სრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცემა სოციალური ვაუჩერი. სადაც მითითებულია ბენეფიციარის პირადი ნომერი, მისამართი და თანხა. ვაუჩერი გაიცემა კვარტალში ერთჯერ. შესაბამისად, ბენეფიციარი სააფთიაქო დაწესებულებაში ქვეპროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას მიიღებს კვარტალში ერთჯერ. (ქვეპროგრამის ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ მოვლის საშუალებები/ბავშვთა კვება არა უმეტეს 50 ლარის ღირებულებისა თვის განმავლობაში).

დაფინანსება განხორციელდება ა(ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრსა“ და მომსახურე კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნემაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოპოვების მეთოდი
<p>სოფლად მოსახლეობისთვის გაზრდილია ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, მოვლის საჭიროების მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან მოვლის და დამხმარე საშუალებებით, ხოლო სოციალურად დაუცველი ოჯახები ბავშვის შეძენისას მოვლის საშუალებებით ან/და ბავშვთა კვებით</p>	<p>ქვეპროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა</p>	<p>20 100</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>ა(ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი“</p>	<p>კვარტალში ერთჯერ</p>	<p>ა(ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი“</p>	<p>მონიტორინგი</p>

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

06 01 06

ქვეპროგრამის დასახელება:

COVID-19 ით ინფიცირებულთა ოჯახების დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	10 000
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	10 000

ქვეპროგრამის მიზანი:

COVID-19-ით ინფიცირებულთა ოჯახების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

2020 წლის აპრილის თვიდან ქობულეთის მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა COVID-19-ით ინფიცირებისა და covid-19 ის დადასტურებულ ან სავარაუდო შემთხვევაში პაციენტის გარდაცვალების ფაქტები .

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთჯერად დახმარებას ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 100 001 -დან 200 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვის, covid-19 ის დადასტურებულ ან სავარაუდო შემთხვევაში პაციენტის გარდაცვალებისას გარდაცვლილთა ოჯახების უმეტეს ნაწილს არ გააჩნია დაკრძალვისათვის საჭირო თანხა. ერთ ოჯახზე გასაცემი თანხა შეადგენს 400 ლარს.

ბენეფიციართა შერჩევის წესი:

covid-19 ის დადასტურებულ ან სავარაუდო შემთხვევაში გარდაცვლილი პაციენტების ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 100 001 -დან 200 001 სარეიტინგო ქულით.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი	სულ (ლარი)
covid-19 ის დადასტურებულ ან სავარაუდო შემთხვევაში მიცვალბულის დაკრძალვის ხარჯის გაღება	ბენეფიციარი	25	400	10,000
სულ ქვეპროგრამა		25		10 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
------------	------------	------------	------------	------------

<p>covid-19 ის დადასტურებულ ან სავარაუდო შემთხვევაში მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯის გაღება</p>	x	x	x	x
--	---	---	---	---

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)

მოწყვლადი სოციალური კატეგორიის წარმომადგენლები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით

დამატებითი ინფორმაცია

ა) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი მიმართავს მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მისაღებად. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის ან და მერის მოადგილის რეზოლუციით შედის სათანადო სამსახურში სადაც განიხილება წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ხდება მათი სისრულეში მოყვანა. რის შემდეგაც სამსახური მიმართავს მერს თხოვნით დახმარების გაცემის თაობაზე, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, მერის ბრძანება თანდართული დოკუმენტაციებთან ერთად იგზავნება საფინანსო სამსახურში დაფინანსების მიზნით.

ბ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა პირი, რომელიც მომართავს მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით გარდაცვალებიდან ორი თვის ვადაში და წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტს:

1. გარდაცვალების მოწმობა
2. გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობა ფორმა N106/ს
3. თანხის მიმღების პირადობის მოწმობა
4. ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მომზადებული რწმუნება თანხის მიმღების თაობაზე.
5. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა ან მოწმობა ოჯახის სოციალური მდგომარეობის შესახებ (სარეიტინგო ქულა 100001 _ 200 000 ქულის ჩათვლით)

თანხა შესაძლებელია აგრეთვე გაიცეს ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მომზადებული რწმუნების თანახმად მითითებული მოქალაქეზე, რომელიც მომართავს მუნიციპალიტეტის მერიას წერილობით მიუხედავად იმისა არის თუ არა ის აღნიშნული ოჯახის წევრი.

შენიშვნა:

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოპოვების მეთოდი
<p>covid-19 ის დადასტურებულ ან სავარაუდო შემთხვევაში გარდაცვლილთა ოჯახები უზრუნველყოფილი არიან დახმარებით მიცვალბულთა დაკრძალვისათვის</p>	<p>ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)</p>	<p>25</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>	<p>კვარტალში ერთჯერ</p>	<p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>	<p>მონიტორინგი</p>

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

06 01 07

ქვეპროგრამის დასახელება:

მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	640,000
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	640,000

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობის მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის აღწერა:

საქართველოს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მთელი რიგი სამედიცინო პროგრამებით. მიუხედავად ამისა Covid-19 პანდემიის დროს ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებისა და მოწყვლადი კატეგორიის მქონე ბენეფიციარებისათვის მედიკამენტების მიწოდება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და მოწყვლადი კატეგორიის მქონე მოსახლეობას მედიკამენტების შექმნა არ შეუძლია.

აქედან გამომდინარე ქობულეთის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა მოწყვლადი ოჯახებისათვის - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირები; ომის ვეტერანები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები; მარტოხელა მშობლები და მათ შვილები; მარტოხელა ასაკით პენსიონერები - რომლებიც უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ მკურნალობის ჩატარებას, მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის ბენეფიციარები, რომლებიც საჭიროებენ მედიკამენტოზურ მკურნალობას წელიწადში ერთხელ ოჯახზე მიიღებენ 200 ლარიან დახმარებას მედიკამენტების ვაუჩერის სახით. იმ შემთხვევაში თუ ოჯახში არის ორი შშმ პირი, ორი ვეტერანი, სოციალურად დაუცველი და შშმ პირი/ვეტერანი, შშმპირი/ ვეტერანი მათ მიეცემათ ორი 200 ლარიანი ვაუჩერი.

ბენეფიციართა შერჩევის წესი:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული:

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა;

შ.შ.მ. პირები;

ომის ვეტერანები;

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები);

მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრებს;

მარტოხელა მშობლები და მათ შვილები;

მარტოხელა ასაკით პენსიონერები.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრების, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შ.შ.მ. პირების, ომის ვეტერანების; ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების (დედა, მამა, მეუღლე, შვილები) მედიკამენტებით უზრუნველყოფა	3200	200	640,000.0
სულ ქვეპროგრამა	3,200		640,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი*	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ომის ვეტერანები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები; მარტოხელა მშობლები და მათ შვილები; მარტოხელა ასაკით პენსიონერები მედიკამენტებით უზრუნველყოფა	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)

მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდა. დაავადებულთა გართულებების თავიდან აცილება. მედიკამენტებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარი.

დამატებითი ინფორმაცია

პროგრამით ისარგებლებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ომის ვეტერანები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები; მარტოხელა მშობლები და მათ შვილები; მარტოხელა ასაკით პენსიონერები.

ქვეპროგრამაში ჩასართავად ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
3. ბენეფიციარის დამადასტურებელი დოკუმენტი (სარეიტინგო ქულის ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზიდან/შშპ პირის შემთხვევაში, ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან/ვეტერანის მოწმობის ასლი დედანთან ერთად/ცნობა მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენის შესახებ და ა. შ.)
5. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა № IV-100/ა, მედიკამენტების დასახელებით.
6. ანგარიშ-ფაქტურა აფთიაქიდან თანხის მითითებით.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოპოვების მეთოდი
<p>მოწყვლადი სოციალური ჯგუფების - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; ომის ვეტერანები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები; მარტოხელა მშობლები და მათ შვილები; მარტოხელა ასაკით პენსიონერები - მედიკამენტებით უზრუნველყოფა</p>	<p>ქვეპროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა</p>	<p>3,200</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>	<p>კვარტალში ერთჯერ</p>	<p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>	<p>მონიტორინგი</p>

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 06 02

პროგრამის დასახელება:

სოციალური დაცვის ღონისძიებები

პროგრამის განმახორციელებელი:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2021-2024წწ

პროგრამის მიზანი:

გარკვეული კატეგორიის ბენეფიციარების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის გარკვეული შედეგებითა და სოციალური დახმარებით უზრუნველყოფას. მოწყვლადი კატეგორიის ბენეფიციარების ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში და ბავშვთა აბილიტაციის/რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების ხელშეწყობა პროგრამა; და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვთა) ერთჯერადი მატერიალური დახმარება	158,000	34,000	41,000	41,000	41,000
ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	84,830	15,330	23,000	23,000	23,000
დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარება	69,400	9 400	20,000	20,000	20,000
უმწეო გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარება	100,400	42,000	22,800	22,800	22,800
მუნიციპალური უფასო სასადილო	925,000	220,000	235,000	235,000	235,000
დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების ხელშეწყობა	200,000	50 000	50,000	50,000	50,000
ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირების ხელშეწყობა	202,000	37,000	55,000	55,000	55,000
ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირება	206,000	32,000	58,000	58,000	58,000
მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება	242,000	77 000	55,000	55,000	55,000
მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარება	84,000	24,000	20,000	20,000	20,000
სულ პროგრამა	2,220,130	540 730	559 800	559 800	559 800

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

გაუმჯობესებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

საბოლოო შედეგის შეფასების კრიტერიუმები

პროგრამის ფარგლებში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა

დამატებითი ინფორმაცია

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოპოვების მეთოდი
		2020 წელი (საბაზო)	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი				
გაუმჯობესებულია გარკვეული სოციალური კატეგორიის ბენეფიციართა სოციალური პირობები	ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებზედაც ვრცელდება პროგრამით გათვალისწინებული შეღავათები	844	811	885	885	885	რაიდენობა	ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი
	სოციალური უზრუნველყოფის პროგრამაში ბენეფიციართა ჩართულობის %-ლი მაჩვენებელი	90	80	80	80	80	%	ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური დაცვის ღონისძიებები

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

06 02 01

ქვეპროგრამის დასახელება:

5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვთა) ერთჯერადი მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	34 000
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	34 000

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის ძირითადი მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დემოგრაფიული ფონის გაჯანსაღებისათვის მიმართული აქციების განხორციელება, მათთვის მორალური დამატერიალური მხარდაჭერა, სტიმულის მიცემა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 5 და მეტი მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერად მატერიალური დახმარებას 1000 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერად მატერიალურ დახმარებას, 35 ოჯახზე 1000 ლარის ოდენობით, ასევე ქვეპროგრამაში გათვალისწინებულ იქნება ის ოჯახები, რომელთა შვილებსაც შეუსრულდება 2020 წელს 18 წელი. ქვეპროგრამის მსვლელობის დროს მოსალოდნელია როგორც გამოკლება, ისევე მატება.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი	სულ (ლარი)
5 და მეტი მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა	ბენეფიციარი	34	1000	34 000
სულ ქვეპროგრამა				34 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
5 და მეტი მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა			x	

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)

ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახები (18 წლამდე ბავშვები) უზრუნველყოფილი არიან მატერიალური დახმარებით.

დამატებითი ინფორმაცია

ა) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

ბენეფიციარი მიმართავს მუნიციპალიტეტის მერს განცხადებით ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მისაღებად. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის ან/და მერის მოადგილის რეზოლუციით შედის სათანადო სამსახურში, სადაც განიხილება წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ხდება სისრულეში მოყვანა. რის შემდეგაც სამსახური მიმართავს მერს თხოვნით დახმარების გაცემის თაობაზე, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში მერიის სამსახური მერის ბრძანების საფუძველზე გადაურიცხავს ბენეფიციარს შესაბამის ანგარიშზე დახმარებას.

იმ შემთხვევაში თუ მოქალაქეს წარმოდგენილი აქვს დოკუმენტები წინა წლებში და აკმაყოფილებს მოთხოვნას, სათანადო სამსახური მიმართავს მუნიციპალიტეტის მერს თხოვნით სიის წარმოდგენით მასზე ერთჯერადი დახმარების გამოყოფის თაობაზე. მერის ბრძანება თანდართულ დოკუმენტაციებთან ერთად გადაიგზავნება საფინანსო სამსახურში დაფინანსების მიზნით.

ბ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

დახმარების გაცემა გაუგრძელდეს ყველა იმ ოჯახს, რომლებიც ღებულობდნენ დახმარებას წინა წლებში და წარმოდგენილი აქვს სათანადო დოკუმენტები და აკმაყოფილებენ ქვეპროგრამაში წარმოდგენილ მოთხოვნას, ასევე ყველა ოჯახი, რომელიც მიმდინარე წელს დადგება აღრიცხვაზე, განეკუთვნება ქვეპროგრამით გათვალისწინებულ კატეგორიას და წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტს:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. მშობლის პირადობის მოწმობის ასლი;
3. ყველა ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი.

4. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მშობელი არ არის რეგისტრირებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ცნობა შესაბამისი მუნიციპალიტეტიდან, რომ ანალოგიური პროგრამით არ უსარგებლია.

შენიშვნა: ის ოჯახები, რომლებსაც 2021 წლის განმავლობაში შეეძინებათ მე-5 შვილი, „5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვთა) ერთჯერადი მატერიალური დახმარებ“-ის ქვეპროგრამაში ჩაერთვებიან მომდევნო, 2022 წლიდან.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოპოვების მეთოდი
<p>ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახები (18 წლამდე ბავშვები) უზრუნველყოფილი არიან მატერიალური დახმარებით.</p>	<p>ქვეპროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა</p>	<p>34</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>	<p>კვარტალში ერთჯერ</p>	<p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>	<p>მონიტორინგი</p>

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური დაცვის ღონისძიებები

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

06 02 02

ქვეპროგრამის დასახელება:

ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	15 330
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	15 330

ქვეპროგრამის მიზანი:

ომის ინვალიდების, ომში დაღუპულთა ოჯახების, ომების მონაწილეების, მათთან გათანაბრებული პირების და სამხედრო ძალების ვეტერანების სოციალური დაცვა. მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ქვეპროგრამის მიზანია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, სამხედრო ძალების ვეტერანების და მარჩენალდაკარგულთა უკდავყოფის და სადღესასწაულო დღეების უზრუნველყოფა, პროგრამა ითვალისწინებს სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა უკდავყოფას, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებას. ქვეპროგრამას კანონმდებლობით დადგენილი წესით, არეგულირებს 2000 წლის საქართველოს კანონი „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკდავყოფის შესახებ“ და ასევე 1995 წლის საქართველოს კანონი „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ მუხლი 14, პუნქტი „გ“, მუხლი 15, პუნქტი „გ“, მუხლი 16, პუნქტი „გ“, მუხლი 17, პუნქტი „ბ“.

საქართველოს კანონის „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკდავყოფის შესახებ“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტისა და „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ 1995 წლის კანონის“ 21 მუხლის თანახმად გარდაცვლილი ომის მონაწილის ოჯახებზე გამოიყოფა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 400 ლარის ოდენობით დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურების მიზნით.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი	სულ (ლარი)
უკდავყოფის და სადღესასწაულო დღეების ორგანიზება	სადღესასწაულო დღე	5	306	1,530
ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა	ბენეფიციარი	35	303	10,600
გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა	ბენეფიციარი	8	400	3,200
სულ ქვეპროგრამა				15 330

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
უკვდავყოფის და სადღესასწაულო დღეების ორგანიზება	x	x	x	x
ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა	x	x	x	
გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა	x	x	x	x

ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები

№	ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალურად გაშიფრული)	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი)
1	II მსოფლიო ომის მონაწილეებზე 9 მაისთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა	ბენეფიციარი	2	500.00	1000
2	II მსოფლიო ომში დაღუპულ ოჯახის წევრ მემორიალზე 9 მაისთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა	ბენეფიციარი	3	200.00	600
3	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დანიშნულ მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახის წევრებზე 27 სექტემბერთან დაკავშირებით მატერიალური დახმარების გაცემა	ბენეფიციარი	16	300.00	4800
4	2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მემორიალის ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა	ბენეფიციარი	10	300.00	3000
5	2008 წლის რუსული აგრესიის დროს დაზიანების შედეგად შშმ პირებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა	ბენეფიციარი	2	300.00	600
6	ავღანეთში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მემორიალის ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა	ბენეფიციარი	2	300.00	600
7	გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა	ბენეფიციარი	8	400.00	3200
8	15 თებერვალთან დაკავშირებით ავღანეთში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული 3 მემორიალის საფლავების შემკობა; 9 მაისი მემორიალის შემკობა; 8 აგვისტო, მემორიალის შემკობა და დაღუპულთა საფლავების შემკობა; 27 სექტემბერთან დაკავშირებით მემორიალისა და აფხაზეთის ომში დაღუპული 3 მემორიალის საფლავის შემკობა 17 ოქტომბერს, ვეტერანის დღესთან დაკავშირებით, მემორიალის შემკობა	გვირგვინი	4	100.00	400
		ვარდი	360	3.00	1080
9	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა მემორიალთან მუდმივი ცეცხლისათვის ბუნებრივი აირის გადასახადი	კუბ. მ	35	1.43	50
სულ სოციალური უზრუნველყოფა					15 330

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)

ვეტერანების რაოდენობა რომლებზეც გაიცემა მატერიალური დახმარება

დამატებითი ინფორმაცია

შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმის	შესყიდვის დაგეგმილი თანხა	შენიშვნა
1	ყვავილების შესყიდვა	I კვარტალი 2021 წელი	გამარტივებული შესყიდვა	1480	

ბ) პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

1. სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის მიერ მოწოდებული ინფორმაცია აღნიშნულ ბენეფიციართა რაოდენობისა და შესაბამისი კოდის შესახებ.

2. საქართველოს კანონის „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტისა და „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ 1995 წლის კანონის“ 21 მუხლის თანახმად გარდაცვალებულ ვეტერანთა დაკრძალვის თანხის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირიდან შემოსული განცხადებები

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოპოვების მეთოდი
ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანები, დაღუპულთა ოჯახის წევრები უზრუნველყოფილი არიან მატერიალური დახმარებით.	ქვეპროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა	43	რაოდენობა	ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთჯერ	ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური დაცვის ღონისძიებები

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

06 02 03

ქვეპროგრამის დასახელება:

დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	9 400
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	9 400

ქვეპროგრამის მიზანი:

ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარებას თვითოეულ ბავშვზე 100 ლარის ოდენობით. მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დედ-მამით ობოლ ბავშვთა (8 ბენეფიციარი) ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას 100 ლარის ოდენობით, მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერისათვის, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბავშვებს არ აქვს ელემენტარული სახსრები რაც ესაჭიროება მათ განვითარებას და აღზრდას.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი	სულ (ლარი)
დედ-მამით ობოლი ბავშვებისათვის ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა	ბენეფიციარი	10	900	9 400
სულ ქვეპროგრამა		10	900	9 400

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
დედ-მამით ობოლი ბავშვებისათვის ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)

მოწყვლადი სოციალური კატეგორიის ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან მატერიალური დახმარებით

დამატებითი ინფორმაცია

ა) დახმარების გაცემა მოხდეს 2021 წლის იანვრის თვიდან 2021 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით.

ბ) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

უფლებამოსილი პირი (მეურვე) მიმართავს მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მისაღებად. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის ან/და მერის მოადგილის რეზოლუციით შედის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში სადაც განიხილება წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ხდება მათი სისრულეში მოყვანა. რის შემდეგაც სამსახური მიმართავს მერს დახმარების დანიშვნის თაობაზე, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში მერიის საფინანსო სამსახური მერის ბრძანების საფუძველზე გადაურიცხავს ყოველთვიურად ბენეფიციარს შესაბამის ანგარიშზე დახმარებას.

გ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

დახმარების გაცემა გაუგრძელდეს 18 წლამდე დედ-მამით ობოლ ბავშვებს, რომლებიც ღებულობდნენ ყოველთვიურ დახმარებას 2008-2020 წლებში და წარმოდგენილი აქვს სათანადო დოკუმენტები და ასევე ყველა პირს, რომელიც მიმდინარე წელს დადგება აღრიცხვაზე, მიეკუთვნება აღნიშნულ კატეგორიას და წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტს:

1. დაბადების მოწმობის ასლი
2. დედ-მამის გარდაცვალების ცნობის ასლი, თუ მარტოხელა დედაა იმ შემთხვევაში დედის გარდაცვალების ცნობა.
3. ცნობა პენსიის არსებობის შესახებ
4. მეურვის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
5. მეურვის პირადობის მოწმობის ასლი

შენიშვნა:

დახმარება ენიშნება დედ-მამით ობოლ ბავშვს განცხადების შემოტანის თვიდან, იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარს უსრულდება 18 წელი დახმარება უწყდება ასაკის შესრულების მომდევნო თვიდან.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოპოვების მეთოდი
ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დედ-მამით ობოლი ბავშვები უზრუნველყოფილი არიან მატერიალური დახმარებით.	ქვეპროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა	10	რაოდენობა	ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთჯერ	ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური დაცვის ღონისძიებები

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

06 02 04

ქვეპროგრამის დასახელება:

უმწეო გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	42 000
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	42 000

ქვეპროგრამის მიზანი:

მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მატერიალური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს ერთჯერად დახმარებას ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ ელემენტარული ხარჯები მიცვალებულთა დასამარხად. ასევე, პროგრამაში გათვალისწინებულია უპატრონო გარდაცვლილი მოქალაქეები, რომლების დასაფლავება ხშირ შემთხვევებში ქმნის სერიოზულ პრობლემას. ანალოგიური პროგრამა მუშაობდა 2007-2020 წლებში. გარდაცვლილთა ოჯახების უმეტეს ნაწილს არ გააჩნია დაკრძალვისათვის საჭირო თანხა. ერთ ოჯახზე გასაცემი თანხა შეადგენს 400 ლარს.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი	სულ (ლარი)
სოციალურად დაუცველი (0-100 000 ქულის მქონე) პირი	ბენეფიციარი	100	400	40,000
უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯის გაღება	ბენეფიციარი	2	400	800
უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ორგანიზება	ბენეფიციარი	2	600	1,200
სულ ქვეპროგრამა		104		42 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სოციალურად დაუცველი (0-100 000 ქულის მქონე) პირი	x	x	x	x

უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯის გაღება	X	X	X	X
უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ორგანიზება	X	X	X	X

ბენეფიციართა დაყოფა კატეგორიების მიხედვით საპროგნოზო ხასიათს ატარებს და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია თანხის გადმოტანა საჭიროების მიხედვით, ბენეფიციართა რაოდენობის არ შეცვლით.

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)

მოწყვლადი სოციალური კატეგორიის წარმომადგენლები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით

დამატებითი ინფორმაცია

ა) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი მიმართავს მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მისაღებად. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის ან და მერის მოადგილის რეზოლუციით შედის სათანადო სამსახურში სადაც განიხილება წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ხდება მათი სისრულეში მოყვანა. რის შემდეგაც სამსახური მიმართავს მერს თხოვნით დახმარების გაცემის თაობაზე, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, მერის ბრძანება თანდართული დოკუმენტაციებთან ერთად იგზავნება საფინანსო სამსახურში დაფინანსების მიზნით.

ბ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა პირი, რომელიც მომართავს მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით გარდაცვალებიდან ორი თვის ვადაში და წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტს:

1. გარდაცვალების მოწმობა
2. თანხის მიმღების პირადობის მოწმობა
